



საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

ქ.ბათუმი

„31“ 12 2025

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 12/261

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ


„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებული ქვეპროგრამის - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფა“ განხორციელების მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 8 მაისის N4 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის და მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

- დამტკიცდეს:
 - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განცხადების ტექსტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის შესრულებაში მონაწილეობის მსურველ პირთათვის, თანახმად №1 დანართისა.
 - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის სოციალური ვაუჩერის თანდართული ფორმა.
 - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის სოციალური ვაუჩერის გაცემისა და გამოყენების წესი, თანახმად №2 დანართისა.
 - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესი (თანდართული - მიწოდებული მომსახურების ჩამონათვალი), თანახმად N3 დანართისა.
- ბრძანების შესაბამისი პირებისადმი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა დაევალოს სამინისტროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი. მახარაძე).
- ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში ერთი თვის ვადაში (მის.: ქ. ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას ქ. №9) კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- ბრძანება ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან.

მ ი ნ ი ს ტ რ ი

6. ნიკოლოზი



ნინო ნიკარაძე



დანართი №1

„დამტკიცებულია“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის 2025 წლის 12/26/2025
ბრძანებით

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს**

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით
უზრუნველყოფის ქვეპროგრამის შესრულებაში მონაწილეობის მსურველ პირთათვის**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (ქ. ბათუმი, აკად. მ. კომახიძის ქ. №119) აცნობებს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებულია ქვეპროგრამა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფა“.

2. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფა“ ქვეპროგრამის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა სავარძელ-ეტლებით ეტლებით უზრუნველყოფა, ცხოვრების ხარისხის და სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესება. ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიწოდება ხორციელდება სოციალური ვაუჩერის საშუალებით. ქვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა საქონლის მიმწოდებლებს შორის.

3. მომსახურების გაწევის ვადაა 2026 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

4. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ასევე, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე მოქალაქეები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრაციის ადგილად უფიქსირდებათ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორია. ამასთანავე, 18 წლამდე ასაკის შემთხვევაში - 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის ერთი-ერთი მშობელი მაინც უნდა იყოს უწყვეტად რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

რეგისტრაციის წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ.

5. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის შესრულებაში მონაწილეობის მსურველმა პირებმა საქონლის

მიწოდებამდე გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ქ. ბათუმი, აკად. მ. კომახიძის ქ. №119, მეორე სართული, ოთახი №9.

6. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განაცხადი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელებაში მონაწილეობის მიღების სურვილის თაობაზე;


ბ) მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

გ) სავარძელ-ეტლების დეტალური აღწერილობა (ტექნიკური მახასიათებლები), მწარმოებელი ქვეყანა, ფოტო-სურათები და ინფორმაცია ღირებულების შესახებ;

დ) მომსახურების განხორციელების ადგილის მისამართი.


შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის გათვალისწინებული ღონისძიებების, ფასებისა და შესრულების წესის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სამინისტროს ვებ-გვერდზე www.ajara.gov.ge.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ქ. ბათუმი, აკად. მ. კომახიძის ქ. №119, მეორე სართული, ოთახი №29. ტელეფონი: (0422) 24-79-60;




აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტრო

**შებლდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა
გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფა**



სოციალური ვაუჩერი N---

ბენეფიციარის სახელი, გვარი _____
დაბადების წელი _____
პირადი ნომერი _____
მისამართი _____
ვაუჩერის გაცემის თარიღი _____
ვაუჩერის წარდგენის ვადა _____
პროგრამული კოდი _____




ქვეპროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების მოცულობა ___ ლარი.

გავეცანი პირობებს და ვაუჩერი მივიღე უფასოდ:

ხელმოწერა: _____ პ/ნ

(ბენეფიციარი ან წარმომადგენელი)

ტელ: (0 422) 24-79-60




აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტრო

**შებლდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა
გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფა**



სოციალური ვაუჩერი N---


ბენეფიციარის სახელი, გვარი _____
დაბადების წელი _____
პირადი ნომერი _____
მისამართი _____
ვაუჩერის გაცემის თარიღი _____
ვაუჩერის წარდგენის ვადა _____
პროგრამული კოდი _____



ქვეპროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების მოცულობა ___ ლარი

აუცილებლად გაეცანით უკანა გვერდს!

დაწესებულება:



სამინისტროს უფლებამოსილი პირი

ბ.ა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

სამინისტრო

გახსოვდეთ!

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურეობა ხორციელდება იმ პირთა მიმართ, რომლებიც ფლობენ სოციალურ ვაუჩერს. აღნიშნული ვაუჩერი გადაეცემა ბენეფიციარს ან მის წარმომადგენელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ.

ვაუჩერის მფლობელს უფლება აქვს მიიღოს დახმარება ქვეპროგრამით გათვალისწინებული მოცულობით.

წაკითხეთ ყურადღებით!

ბენეფიციარებს გაწეული მომსახურება დაუფინანსდებათ ვაუჩერში მითითებული თანხით (არაუმეტეს ქვეპროგრამით გათვალისწინებული ტარიფის) სრულად. თუ ქვეპროგრამის ბენეფიციარი აირჩევს სავარძელ-ეტლს, რომლის ღირებულება აღემატება ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ღირებულებას, სამინისტრო უზრუნველყოფს მის დაფინანსებას ქვეპროგრამით გათვალისწინებული ტარიფის შესაბამისად, დარჩენილ ნაწილს დაფარავს ბენეფიციარი

გათვალისწინეთ!

ვაუჩერი ძალაშია მხოლოდ ვაუჩერით გათვალისწინებულ წარდგენის ვადამდე, რომელიც განისაზღვრება ვაუჩერის გაცემის თარიღიდან 30 კალენდარული დღით, თუ თვით ამ ვაუჩერში სხვა ვადა არ არის მითითებული.

ვაუჩერის დაკარგვის შემთხვევაში მფლობელს (წარმომადგენელს) უფლება აქვს შესაბამისი განცხადებით მომართოს სამინისტროს.

ტელ: (0 422) 24-79-60

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

სამინისტრო

გახსოვდეთ!

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურეობა ხორციელდება იმ პირთა მიმართ, რომლებიც ფლობენ სოციალურ ვაუჩერს. აღნიშნული ვაუჩერი გადაეცემა ბენეფიციარს ან მის წარმომადგენელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ.

ვაუჩერის მფლობელს უფლება აქვს მიიღოს დახმარება ქვეპროგრამით გათვალისწინებული მოცულობით.

წაკითხეთ ყურადღებით!

ბენეფიციარებს გაწეული მომსახურება დაუფინანსდებათ ვაუჩერში მითითებული თანხით (არაუმეტეს ქვეპროგრამით გათვალისწინებული ტარიფის) სრულად. თუ ქვეპროგრამის ბენეფიციარი აირჩევს სავარძელ-ეტლს, რომლის ღირებულება აღემატება ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ღირებულებას, სამინისტრო უზრუნველყოფს მის დაფინანსებას ქვეპროგრამით გათვალისწინებული ტარიფის შესაბამისად, დარჩენილ ნაწილს დაფარავს ბენეფიციარი

გათვალისწინეთ!

ვაუჩერი ძალაშია მხოლოდ ვაუჩერით გათვალისწინებულ წარდგენის ვადამდე, რომელიც განისაზღვრება ვაუჩერის გაცემის თარიღიდან 30 კალენდარული დღით, თუ თვით ამ ვაუჩერში სხვა ვადა არ არის მითითებული.

ვაუჩერის დაკარგვის შემთხვევაში მფლობელს (წარმომადგენელს) უფლება აქვს შესაბამისი განცხადებით მომართოს სამინისტროს.

ტელ: (0 422) 24-79-60

„დამტკიცებულია“
 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
 ჯანმრთელობისა და სოციალური
 დაცვის მინისტრის 2026 წლის
 31/12 № 12/26 ბრძანებით

**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების
 საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის სოციალური ვაუჩერის გაცემისა და
 გამოყენების წესი**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ასევე, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე მოქალაქეები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრაციის ადგილად უფიქსირდებათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია. ამასთანავე, 18 წლამდე ასაკის პირის შემთხვევაში კი 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის ერთი-ერთი მშობელი მაინც უნდა იყოს უწყვეტად რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ.

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს გადაადგილების პრობლემების მქონე განსაზღვრული სოციალური კატეგორიის პირები, ხოლო ელექტრო სავარძელ-ეტლის საჭიროების შემთხვევაში - შშმ პირები, მათ შორის, 6-დან 18 წლამდე შშმ ბავშვები. ამასთანავე, სავარძელ-ეტლების გაცემის საფუძველს წარმოადგენს ქვეპროგრამით განსაზღვრული ნოზოლოგიების ჩამონათვალი დანართის მიხედვით.

ბენეფიციარი ან ბენეფიციარის წარმომადგენელი განცხადებით და თანმხლები დოკუმენტებით მიმართავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციართა დაფინანსება განხორციელდება სოციალური ვაუჩერის მეშვეობით.

ქვეპროგრამის ბენეფიციარები არიან:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათ შორის ბავშვები;
- მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
- ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები;
- პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირები;
- თავშესაფარის კონტიგენტი.

ქვეპროგრამაში ჩართვა განხორციელდება მომართვიანობის მიხედვით მომსახურების მიღების უპირატესი უფლების დაცვით. ქვეპროგრამის ფარგლებში სავარძელ-ეტლის გაცემისას უპირატესობა ენიჭებათ 18 წლამდე ასაკის ბავშვებსა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მოქალაქეებს.

საბიუჯეტო წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში ერთ ბენეფიციარზე გაიცემა არაუმეტეს ერთი სავარძელ-ეტლისა.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- განცხადება;
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ოთახისა და მექანიკური ეტლის შემთხვევაში სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული სამედიცინო ცნობა ფორმა №IV-100/ა, ხოლო საშუალო და მაღალი მორგების პედატრიული სავარძელ-ეტლისა და ელექტრო

სავარძელ-ეტლის შემთხვევაში - სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტი - ფორმა NIV-50/2, სადაც მითითებული იქნება კომპონენტით გათვალისწინებული სავარძელ-ეტლის საჭიროება;

- ბენეფიციარის/წარმომადგენლის მიერ შერჩეული სავარძელ-ეტლის ღირებულების წინასწარი ანგარიშ-ფაქტურა;

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;

- ქვეპროგრამის მოსარგებლის დამადასტურებელი საბუთი.

ამასთანავე, 6-დან 14 წლამდე ასაკის ბავშვისათვის ელექტრო სავარძელ-ეტლის მოთხოვნის შემთხვევაში წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს:

- ელექტრო სავარძელ-ეტლით დამოუკიდებლად სარგებლობის უნარების შეფასების შედეგები;

- სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი, დადასტურებული დოკუმენტი ელექტრო სავარძელ-ეტლის დამოუკიდებლად სარგებლობის შესაძლებლობისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება წარდგენილი დადასტურებული აღნიშნული დოკუმენტი შეფასებისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობის შესახებ - 6-დან 14 წლამდე ასაკის შშმ ბავშვს გადაეცემა მექანიკური სავარძელ-ეტლი.

შენიშვნა:

ა) მოსარგებლები, რომლებიც 18 წლამდე სარგებლობდნენ მაღალი და საშუალო მორგების ეტლებით, მომსახურების მიწოდება უგრძობლდებათ სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდგომაც პროგრამით გათვალისწინებული პირობებით.

ბ) ელექტროეტლის განმეორებით მოთხოვნისას, თუ პირზე უკვე გაცემული ელექტროეტლის შესახებ ინფორმაცია დაფიქსირებულია სამინისტროს შესაბამის მონაცემთა ბაზაში, შესაბამისი დოკუმენტაციის ხელახლა წარდგენა საჭირო არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ქვეპროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ გაიცემა სოციალური ვაუჩერი.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარი/წარმომადგენელი სამინისტროს მომართავს მიმდინარე თვის 15 რიცხვამდე, ბენეფიციარი შესაბამისი მომსახურებით ისარგებლებს მიმდინარე თვის განმავლობაში, ხოლო თუ მომართავს 15 რიცხვის შემდეგ ქვეპროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას მიიღებს მომდევნო თვიდან.

არასრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემთხვევაში განმცხადებელს ეძლევა შესაბამისი განმარტება და ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

ქვეპროგრამის მოსარგებლეს (წარმომადგენელს) უფლება აქვს მომსახურების მიღების მიზნით აირჩიოს მისთვის სასურველი დაწესებულება, რომელიც დაფიქსირდება ვაუჩერში.

ბენეფიციარს დამხმარე საშუალებათა ღირებულება დაუფინანსდება ვაუჩერში მითითებული თანხით.

მომსახურება გაეწევა იმ პაციენტებს, რომლებიც ფლობენ სრულად შევსებულ ვაუჩერს. ვაუჩერის ("ბ" ნაწილი) უნდა ინახებოდეს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელთან.

ვაუჩერი ძალაშია მხოლოდ ვაუჩერით გათვალისწინებულ წარდგენის ვადამდე. ვაუჩერის დაკარგვის შემთხვევაში მფლობელს (წარმომადგენელს) უფლება აქვს შესაბამისი განცხადებით მიმართოს სამინისტროს.

წარდგენის ვადა განისაზღვრება ვაუჩერის გაცემის თარიღიდან 30 კალენდარული დღით, თუ თვით ამ ვაუჩერში სხვა ვადა არ არის მითითებული.

1. გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში მექანიკური ეტლის მიღებისათვის საჭირო კრიტერიუმები (სამედიცინო დიაგნოზები)

- ა) გულის ქრონიკული უკმარისობა III ხარისხის;
- ბ) ფილტვ-გულის ქრონიკული უკმარისობა III ხარისხის;
- გ) ჰემიპლეგია, მკვეთრად გამოხატული ჰემიპარეზი, ქვედა პარაპლეგია, მკვეთრად გამოხატული ქვედა პარაპარეზი, ტრიპლეგია, მკვეთრად გამოხატული ტრიპარეზი, ტეტრაპლეგია, მკვეთრად გამოხატული ტეტრაპარეზი, მიოპათიები, მოძრაობის მკვეთრად გამოხატული მოშლით;
- დ) მკვეთრად გამოხატული ატაქსია, ჰიპერკინეზული ან ამიოსტატიკური სინდრომი;
- ე) ორივე წვივის ტაკვი ან უფრო მაღალი დონის ამპუტაციები;
- ვ) ორივე ქვედა კიდურის მსხვილი სახსრების (ორი ან მეტი) ანკილოზი ან მკვეთრი კონტრაქტურა;
- ზ) წვივის ტაკვი, შერწყმული მეორე ქვედა კიდურის ფუნქციის მნიშვნელოვნად გამოხატულ დარღვევასთან;
- თ) ინკურაბელური ავთვისებიანი ახალწარმონაქმნები – IV კლინიკური ჯგუფი;
- ი) ლიმფოგრანულომატოზი (ჰოჯკინის ლიმფომა), ლიმფოსარკომა (არაჰოჯკინის ლიმფომა) IIIA-IVA სტადია (პროგრესირებადი, გენერალიზირებული), IB -IIB -IIIB - IVB სტადია;
- კ) ქრონიკული ლეიკემიების _ გაშლილი სტადია, ბლასტური კრიზი, III-IV სტადია გართულებებით.

2. გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში საშუალო და მაღალი მორგების პედიატრიული ეტლის მიღებისათვის საჭირო კრიტერიუმები (მდგომარეობები)

2.1 საშუალო მორგების პედიატრიული ეტლი:

- ა) მსუბუქი ან საშუალო სიმძიმის პოზის დეფორმაციები ან დეფორმაციის ტენდენციები;
- ბ) ჯდომისას წონასწორობის შენარჩუნების გამოხატული სირთულეები;
- გ) ტანისა და მენჯის მსუბუქი ან საშუალო დონის დინამიური ან მსუბუქი ფიქსირებული დევიაცია (მოძრაობის სიფართის შეზღუდვა 25% ზე ნაკლები ხარისხით), რომელიც სწორდება პოზის დამხმარე საშუალებებით;
- დ) ფეხის მენჯ-ბარძაყის სახსარში მოხრა 60 გრადუსით შესაძლებლობა (მაგ., ტანსა და ბარძაყს შორის კუთხე არ უნდა აღემატებოდეს 120 გრადუსს);
- ე) „ქარწაღებული პოზის“ არსებობა, რომელიც არ აღემატება სხეულის სიგანის 50%-ს;
- ვ) არ არის გიბუსი (გულ-მკერდისა და ზურგის დეფორმაცია);
- ზ) მხოლოდ ერთი დევიაციის არსებობა, მაგ: ხერხემლის, მენჯის ან ბარძაყის დევიაცია და არა მათი კომბინაცია, თუმცა რომელიმე მათგანი შესაძლოა კომბინირებულად იყოს “ქარწაღებულის პოზასთან”;
- თ) უნებლიე მოძრაობები, სპაზმი, სახსრების დაჭიმულობა და კუნთთა მაღალი ტონუსი;
- ი) არ არის: როტაციის/ათეტოზის მძიმე ფორმა; სენსორული სირთულეებისა და ნაწოლების გაჩენის მაღალი რისკი დამატებით საყრდენების საჭიროება/პოზის დამჭერი საშუალებების ზედა ტანის ამართულ მდგომარეობაში შენარჩუნებისთვის;

კ) სხეულის ნეიტრალური პოზის მისაღებად, მისაახლოებლად და შესანარჩუნებლად;

ლ) ჩივილების არსებობა: სისუსტე, დაღლილობა, ტკივილი ან დისკომფორტი დამატებით საყრდენის გარეშე ჯდომისას;

მ) შესაძლოა საჭიროებდეს დამხმარე საშუალებას წოლის დროს.

2.2 მაღალი მორგების პედიატრიული-ეტლი:

ა) პოზის კომპლექსური, ფიქსირებული დეფორმაციების არსებობა (ტანისა და მენჯის მოძრაობის შეზღუდვა 25% დან 75% მდე) მიუხედავად მხარდაჭერისა, ჯდომის გამწვანება;

ბ) ფეხის მენჯ-ბარძაყის სახსარში 30 გრადუსით მოხრის შესაძლებლობა . (მაგ., ტანსა და ბარძაყს შორის კუთხე არ აღემატება 150 გრადუსს);

გ) ძირითადად გამოხატული ხერხემლის და მენჯ-ბარძაყის კომბინირებული დევიაციები ან კიფოზ-სკოლიოზი გიბუსით ან გიბუსის გარეშე. ასევე, რომელიმე მათგანის კომბინაცია „ქარწაღებულის პოზასთან“;

დ) შესაძლოა საჭიროებდეს დამხმარე საშუალებებს წოლისას.

!!! ამასთანავე, პედიატრიული ეტლის გაცემა შესაძლებელია ზრდასრულ პირზე იმ შემთხვევაში, თუ პირს დანართით განსაზღვრულ მდგომარეობასთან ერთად აღენიშნება სხეულის ასაკისთვის შეუსაბამო წონა და წონის დეფიციტი შეადგენს არანაკლებ 35-40%-ს.

3. გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში ელექტრო-ეტლის მიღებისათვის საჭირო კრიტერიუმები (სამედიცინო დიაგნოზები)

ა) ქრონიკული დაავადებები, რომელთა არსებობისას გამოხატულია სამი კიდურის მნიშვნელოვნად გამოხატული ფუნქციური უკმარისობა (პლევია; პარეზი; ტაკვი; მკვეთრი კონტრაქტურა; ართრიტი; ართროზი და სხვა დაავადებები და მდგომარეობები, რომლებიც იწვევენ კიდურების ფუნქციურ შეზღუდვებს) და ერთი ზედა კიდურის ფუნქციური მდგომარეობა. ამ კიდურის მაქსიმალური ფუნქციიდან მტევნის მინიმალური ფუნქციის შენარჩუნებით;

ბ) ჰემიპლევია;

გ) მკვეთრად გამოხატული ჰემიპარეზი;

დ) VIII ფაქტორის დეფიციტი (ფუნქციურ ნაკლოვანებასთან ერთად) – ჰემოფილია D 66 (მძიმე ფორმა).

„დამტკიცებულია“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
2026 წლის 31-12
№----- ბრძანებით

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ (შემდგომში-შემსყიდველი) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელებაში მონაწილე დაწესებულებას (შემდგომში-მიმწოდებელი) ბენეფიციარებისათვის გაცემული სოციალური ვაუჩერის საფუძველზე სავარძელ-ეტლის ღირებულება აუნაზღაურდება წინამდებარე წესისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს გადაადგილების პრობლემების მქონე განსაზღვრული სოციალური კატეგორიის პირები, ხოლო ელექტრო სავარძელ-ეტლის საჭიროების შემთხვევაში- შშმ პირები, მათ შორის, 6-დან 18 წლამდე შშმ ბავშვები.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ასევე, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე მოქალაქეები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრაციის ადგილად უფიქსირდებათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია. ამასთანავე, 18 წლამდე ასაკის პირის შემთხვევაში კი 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის ერთი-ერთი მშობელი მაინც უწყვეტადაა რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ.

მიმწოდებლის მიერ ბენეფიციარისთვის სავარძელ-ეტლის გაცემა ხორციელდება შემსყიდველის მიერ გაცემული სოციალური ვაუჩერის საფუძველზე. ბენეფიციარის იდენტიფიცირება ხდება პირადობის ან დაბადების მოწმობით ან სხვა დოკუმენტით, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება.

ქვეპროგრამის ბენეფიციარები არიან:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათ შორის ბავშვები;
- მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
- ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები;
- პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირები;
- თავშესაფარის კონტიგენტი.

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სავარძელ-ეტლების მიწოდება, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს არანაკლებ შემდეგ მოთხოვნებს:

N	დასახელება	აღწერილობა
1	ელექტრო სავარძელ-ეტლი	კეცვადი; მეტალის ჩარჩო, იდაყვების მოხსნადი საყრდენი, რეგულირებადი ფეხის დასაყრდენი, ღვედები/დამჭერები (საჭიროებების გათვალისწინებით) და რეგულირებადი მართვის

		<p>პულტი - მართვის პულტი უნდა მონტაჟდებოდეს ბენეფიციარის შესაძლებლობებისა და საჭიროებების მიხედვით;</p> <p>საზურგე და დასაჯდომი დაფარული უნდა იყოს ხელოვნური ტყავით ან გამძლე ქსოვილით (60 000 მარტინდალი);</p> <p>სავარძლის მასა არა უმეტეს 45 კგ; ძრავის სიმძლავრე არა ნაკლებ 180 W; დატვირთვის მასა არანაკლებ 110 კგ (ბენეფიციარის საჭიროების შესაბამისად); საგარანტიო ვადა 36 თვე</p>
2	ოთახის სავარძელ-ეტლი	<p>კეცვადი;</p> <p>უნდა ჰქონდეს მეტალის ჩარჩო, იდაყვების ფიქსირებული საყრდენი, ფეხების მოძრავი საყრდენი;</p> <p>საზურგე და დასაჯდომი დაფარული უნდა იყოს ხელოვნური ტყავით ან გამძლე ქსოვილით (60 000 მარტინდალი);</p> <p>ეტლის მაქსიმალური დატვირთვა არანაკლებ 120 კგ (ბენეფიციარის საჭიროების შესაბამისად);</p> <p>საგარანტიო ვადა 12 თვე</p>
3	მექანიკური სავარძელ-ეტლი	<p>უნდა იყოს კეცვადი;</p> <p>მეტალის კორპუსი, მოხსნადი ხელი, რეგულირებადი ფეხის დასადები აწევა-დაწევის ფუნქციით; ღვედები;</p> <p>საზურგე და დასაჯდომი დაფარული უნდა იყოს ხელოვნური ტყავით ან გამძლე ქსოვილით (60 000 მარტინდალი);</p> <p>სავარძლის წონა არა უმეტეს 20 კგ;</p> <p>დატვირთვის მასა არანაკლებ 110 კგ (ბენეფიციარის საჭიროების შესაბამისად);</p> <p>საგარანტიო ვადა 24 თვე</p>
4	საშუალო და მაღალი მორგების პედატრიული სავარძელ-ეტლი	<p>უნდა იყოს კეცვადი;</p> <p>ჩარჩო ხისტი, მოხსნადი ხელი, მაგიდა, რეგულირებადი საზურგე და დასაჯდომი ზედაპირი, ფეხის დასადები აწევა-დაწევის ფუნქციით; ღვედები; აბდუქტორი; სხეულის ამართულ პოზაში შესანარჩუნებელი საშუალებები (გვერდითი დამჭერები); არასწორ ზედაპირზე მანევრირება</p> <p>საზურგე და დასაჯდომი დაფარული უნდა იყოს ხელოვნური ტყავით ან გამძლე ქსოვილით (60 000 მარტინდალი);</p> <p>სავარძლის წონა არა უმეტეს 30 კგ (მთლიანი აღჭურვილობით);</p> <p>დატვირთვის მასა არანაკლებ 110 კგ (ბენეფიციარის საჭიროების შესაბამისად);</p> <p>საგარანტიო ვადა 12 თვე</p>

ბენეფიციარს სავარძელ-ეტლის ღირებულება დაუფინანსდება ვაუჩერში მითითებული ფიქსირებული თანხით. იმ შემთხვევაში, თუ ქვეპროგრამის ბენეფიციარი აირჩევს სავარძელ-ეტლს, რომლის ღირებულება აღემატება ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ტარიფს, სამინისტრო

უზრუნველყოფს მის დაფინანსებას ქვეპროგრამით გათვალისწინებული ლიიტის შესაბამისად, დარჩენილ ნაწილს კი დაფარავს ბენეფიციარი, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა საქონლის ღირებულება ნაკლებია ქვეპროგრამით გათვალისწინებულ თანხაზე, სამინისტრო უზრუნველყოფს მის დაფინანსებას ფაქტიური ღირებულების მიხედვით.

ქვეპროგრამის ფარგლებში სავარძელ-ეტლის გაცემისას უპირატესობა ენიჭებათ 18 წლამდე ასაკის ბავშვებსა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მოქალაქეებს.

N	დასახელება	პროგრამული კოდი	ერთეულის საშუალო ფასი
1	ელექტრო სავარძელ-ეტლი	70201	4316
2	ოთახის სავარძელ-ეტლი	70202	450
3	მექანიკური სავარძელ-ეტლი	70203	760
4	პედატრიული სავარძელ-ეტლი	70204	2650

კომპონენტის ღონისძიებებში შედის:

ა) ეტლების ბენეფიციარზე გაცემა (ბენეფიციარის მოთხოვნისა და საჭიროების შემთხვევაში – ადგილზე ტრანსპორტირებით) და ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით მორგება საჯდომის სიგანის, საზურგის სიმაღლის, ფეხის დასადების მიხედვით;

ბ) ეტლთან ერთად ზეწოლის შემამსუბუქებელი სპეციალური ბალიშის გაცემა (ყველა ტიპის ეტლს აუცილებლად უნდა მოყვებოდეს კომფორტის ტიპის ბალიში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – ზეწოლის შემამსუბუქებელი ბალიში);

დ) ეტლების გამოყენებასთან დაკავშირებული სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების გაწევა, რაც დადასტურებულია ბენეფიციარის/წარმომადგენლის ხელწერით;

მოსარგებლეს/წარმომადგენელს სავარძელ-ეტლი გადაეცემა შესაბამის დოკუმენტებთან ერთად (ქართულ ენაზე), რაც დადასტურებულია ბენეფიციარის/წარმომადგენლის ხელწერით:

ა) ინფორმაცია სავარძელ-ეტლის შესახებ (ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის თარგმანი დადასტურებული უნდა იყოს ნოტარიულად);

ბ) სავარძელ-ეტლით სარგებლობის ინსტრუქცია;

გ) საგარანტიო მომსახურების ფურცელი.

სავარძელ-ეტლის გაცემის შესახებ ჯამური ინფორმაცია აისახება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში მიწოდებული საქონლის ჩამონათვალში (დანართი N3).

საქონლის მიღება-ჩაბარება განხორციელდება მიმწოდებელსა და სოციალური ვაუჩერის მფლობელს/წარმომადგენელს შორის, რაზედაც ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი (საქონლის დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის, საერთო ღირებულების, საქონლის ტექნიკური მახასიათებლებისა და მწარმოებელი ქვეყნის მითითებით) 3 ეგზემპლარად, რომლის თითო ეგზემპლარი რჩება მხარეებს, ხოლო მესამე წარედგინება შემსყიდველს.

მიმწოდებელმა შემსყიდველს ანაზღაურებისათვის უნდა წარუდგინოს:

- წერილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის სახელზე სოციალური ვაუჩერით მიწოდებული საქონლის ანაზღაურების შესახებ.
- ანგარიშ-ფაქტურა ან/და სასაქონლო ზედნადები მიწოდებული საქონლის დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით;
- სოციალური ვაუჩერის ასლი;
- სოციალური ვაუჩერის მფლობელის პირადობის ან დაბადების მოწმობის ასლი;

5. მიღება-ჩაბარების აქტი სოციალური ვაუჩერის მფლობელს/წარმომადგენელსა და მიმწოდებელს შორის;

6. მიწოდებული საქონლის ჩამონათვალი დანართი 3-ის შესაბამისად.

!!! მიმწოდებელს უფლება არ აქვს, სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე, გაზარდოს ან/და შეამციროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით ქვეპროგრამის განხორციელებაში მონაწილეობის მიზნით მის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში არსებული დამხმარე საშუალებათა ღირებულება.

მიმწოდებელმა საქონლის გაცემა უნდა უზრუნველყოს სოციალური ვაუჩერის წარდგენიდან არა უგვიანეს 14 სამუშაო დღისა.

ანგარიშგებისათვის სრულყოფილად წარმოდგენილი საბუთების საფუძველზე შემსყიდველი განახორციელებს ანგარიშსწორებას 14 კალენდარული დღის ვადაში.

